ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №01-06/09

დაბა ქედა, 15 ივნისი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო: 12:05 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:45 საათზე.

სხდომას საკრებულოს 21 წევრიდან 19 ესწრებოდა.
სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ომამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
ირაკლი მახარაძე-ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში;
ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსები ,ა(ა)იპებისა და შპს-ების ხელმძღვანელები.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/09 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

15 ივნისი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის №01-06/09 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსის მ.შ: გიორგი მგზავრიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის №01-06/09 რიგგარეშე სხდომის წარმოდგენილი დღის წესრიგი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ განცხადება გააკეთა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ და ისაუბრა ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების კანდიდატად მიღების თაობაზე, სადაც იმედს გამოთქვამდა მიიღებდნენ საქართველოს, თუმცა შექმნილი მდგომარეობა ამის იმედს ვერ იძლეოდა. თუ ეს მართლა ვერ მოხერხდებოდა უშუალოდ საქართველოს მთავრობის ბრალეულობა იქნებოდა. აქვე აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონდა საშუალება შეემუშავა რეზოლუციის ტექსტი, სადაც იქნებოდა აღიარებული, რომ რუსეთი ოკუპანტია, რაც საკრებულოს მიერ არ იქნა მხარდაჭერილი, ასევე საკრებულოს მიერ უარი ეთქვა ფრაქციის ინიციატივას უკრაინის დასახმარებლად თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოდან თანხის გადარიცვხვაზე. მსგავსი დამოკიდებულება კი ქმნიდა იმის თქმის საშუალებას, რომ უმრავლესობას უჭირს ღიად მსგავს საკითხებზე აზრის დაფიქსირება.

მეორე საკითხად ბიუჯეტში შესატან საკითხებზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს მიერ წარმოდგენილ საკითხებს უმრავლესობა პარტიულ ჭრილში არ განიხილავდა და მხარს დაუჭერდა ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ იმედი გამოთქვა, რომ საქართველო უკრაინა-მოლდოვის მსგავსად უახლოეს მომავალში გახდებოდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი და განაცხადა, რომ გმობდა რუსეთის აგრესიას უკრაინის მიმართ. რაც შეეხება ბიუჯეტთან დაკავშირებით შემოსულ საკითხებს განმარტა, რომ ფრაქციის მიერ წარმოდგენილი შენიშვნები განხილულია და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის წარმოდგენის შემდეგ კონკრეტული განმარტებებიც გაკეთდებოდა შესაბამისი სამსახურების მიერ.

1. **მოისმინეს: „„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.**

მომხსენებელმა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი მგზავრიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: 12-95221574-95, 06.06.2022 წელი) და წარმოადგინა ცვლილებების რეესტრი შემდეგი სახით:

ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი				
№	პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა -/+	შენიშვნა
1		ბანკის პროცენტი	72 500	ბიუჯეტი იზრდება 1 249 590 ლარით და განისაზღვრა 20 323 244 ლარი
2		ნაშთიდან მოსესხება	322 090	
3		სპეციალური დანიშნულების ტრანსფერი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	750 000	
6	02 03 03 01	დაბა ქედაში რუსთაველის ქ. № 13 და № 15-ს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.	201 000	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
7	02 02 01 01	ქედის მუნიციპალიტეტეის სოფელ დოლოგანში სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა	18 900	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
8	02 02 01 02	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ორცვაში არსებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	7 800	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
9	05 04 01	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტის სამუშაოების შესყიდვა	190 000	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
10	05 01 04 02	სოფელ კვაშტაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა	51 200	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
11	05 01 04 01	სოფელ ზედა მახუნცეთში მინი სპორტული მოედნის მოწყობა	33 100	ტენდერიდან მიღებული ეკონომია

12	05 01 04 03	დაბა ქედაში აბუსერიძის ქუჩის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა	60 300	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
13	02 01 02	სამრეწველო გზაზე გზის საფარის მოწყობა	12 100	დაზუსტდა ღონისძიების ღირებულება
ჯამი			1 718 990	
№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
2	05 02 01	ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრი	8 650	საქონელი და მომსახურება (ექსპო ბათუმი) 3800, ფოლკლორის ფესტივალი 3000 ლარი, ფართო გამოყენების კიბე 1850 ლარი (არაფინანსური აქტივი)
3	01 02 01	სარეზერვო ფონდი	50 000	(10 000 ლარი დამატებულია 5%-იანი გადატანით მერიიდან)
5	02 04 03	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა	30 000	
6	01 02 04	მგფ-დან მიღებული სესხის პროცენტი	8 000	
7	01 02 05	ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასახმარების სოციალური პროგრამები	6 740	
8	06 01 01	ამბულატორიული მომსახურება	6 600	
9	01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი	0	მუხლიდან მუხლში (სხვა ტრანსფერიდან საქონელი და მომსახურებაში 45000 ლარი)
10	01 01 02	მერია	10 000	(10 000 ლარი შევსება 5%-იანი გადატანიდან), მუხლიდან მუხლში შრომის ანაზღაურებიდან სოციალურში 6820 ლარი)
11	04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	0	მუხლიდან მუხლში (შრომისანაზღაურებიდან სოციალურში 2000 ლარი)

12	06 02 02	ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	5 500	მუხლიდან მუხლში (არაფინანსურიდან სოციალურში 1000 ლარი)
13	02 03 01 04	დაბა ქედაში 26 მაისის ქუჩა № 2-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	6 800	
14	02 02 01 07	სოფელ კუჭულაში სასმელი წყლის გამანაწილებელი ავზის მოწყობა	6 800	
15	05 04 03	სოფელ მერისის კულტურის სახლის რემონტი	7 400	
16	06 02 09	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამა	45 300	
17	05 04 02	სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმისათვის ინვენტარის შეძენა	15 000	485 ლარი არაფინანსურიდან საქონელში
18	02 03 01 06	სოფელ გარეტყეში სოფლის სახლის მშენებლობა	50 000	
19	02 02 01 08	სოფელ ახოში არსებული საპირეშოსათვის სეპტიკის მოწყობა	28 000	
20	02 03 03 05	დაბა ქედაში 9 აპრილის მემორიალის რემონტი	9 000	
21	06 02 06	ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა	4 000	
22	06 02 07	სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	10 000	
23	06 02 11	0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება	3 600	ახალი პროგრამა
24	03 01 01	შპს ,,კომუნალურსერვისი"	14 200	სუბსიდია 10200 ლარი, კაპიტალური ხარჯი 4000 ლარი

25	02 08	შპს ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"	20 500	სუბსიდია 20500 ლარი, მუხლიდან მუხლში (სუბსიდიიდან კაპიტალურ ტრანსფერში 9200 ლარი)
26	05 01 03 02	შპს ,,სარაგბო კლუბი ფირალები"	16 700	სუბსიდია 16700 ლარი, მუხლიდან მუხლში (სუბსიდიიდან კაპიტალურ ტრანსფერში 2200 ლარი)
27	05 01 03 01	საფეხბურთო კლუბი ბეთლემი	10 000	სპორტული ინვენტარის შეძენა
28	05 02 02	ააიპ ქედის სახელოვნებო სკოლა სახელოვნებო სკოლა	2 800	საქონელი და მომსახურება
32	05 01 01	ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლა	19 000	17500 არაფინანსური აქტივი (საჭიდაო ლეიბი), მუხლიდან მუხლში 1530 ლარი (შრომის ანაზღაურებიდან სოციალურში), საქონელი და მომსახურება 1500 ლარი
33	02 03 01 05	სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის რეაბილიტაცია	79 100	
34	06 01 08	სოფელ დოლოგანში ადმინისტრაციული შენობისა და ამბულატორიის რეაბილიტაცია	17 300	
35	06 01 08 01	პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	58 000	
36	06 01 08 02	ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	55 000	
37	02 03 01 02	დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა	300 000	
38	02 03 03 05	ცხმორისის სასაფლაოს შემოღობვა	65 000	
39	02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	750 000	

ასიგნებების ჯამი	1 718 990	X
ს ხ ვ ა ო ბ ა	0	X

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოსი საკითხის წარმოდგენის შემდეგ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილით წარმოშობილი ეკონომიები გადანაწილდა შემდეგი სახით:

ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი დამატებითი				
№	პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა -/+	შენიშვნა
1		გაეროს განვითარების პროგრამიდან მიღებული გრანტი (UNDP)	100 000	მიღებული გრანტი
2	02 03 03 02	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა	33 100	არსებული ეკონომია
ჯამი			133 100	
№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
29	04 01 02 01	მახუნცეთის ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია	105 000	
30	01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	10 000	საქონელი და მომსახურება 5000 ლარი, არაფინანსური აქტივები 5000 ლარი.
31	06 02 12	მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარება	600	

32	05 01 01	ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლა	17 500	მივლინება ქვეყნის გარეთ 17500 ლარი (მაგიდის ჩოგბურთის აღსაზრდელები)
ასიგნებების ჯამი			133 100	X
ს ხ ვ ა ო ბ ა			0	X

ასევე, მიზანშეწონილია არსებული პროექტის შესაბამისი პუნქტები ჩმაოყალიბდეს შემდეგი სახით:

- ბანკის პროცენტის გაიზარდოს 5000 ლარით და დადგენილების საბოლოო რედაქციაში განისაზღვროს 77 500 ლარით;
- 02 03 03 02 - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა 91 400 ლარით;
- 02 03 03 01 - დაბა ქედაში რუსთაველის ქ. №13 და №15-ს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა 141 000 ლარით;
- 02 01 01 - შიდა სასოფლო-საუბნო გზები 36 400 ლარით.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს რა ეტაპზე იყო მახუნცეთის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაობი და ასევე დაინტერესდა იქ არსებულ ომში დაღუპულთა მემორიალური სტენდის თაობაზე, რომლის რესტავრაციაც წლებია უშედეგოდ მიმდინარეობდა და დღემდე არ არის დასრულებული. ასევე დაინტერესდა სოფელ ბზუზბზუში ვერძაძეების სახლის დაწვის შემდეგ დაზარალებულ ოჯახს რატომ არ მიეცათ კომპენსაცია სამინისტროს მიერ დღემდე.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ რამოდენიმე კითხვით მიმართა მომხსენებელს, კერძოდ:

ა) რა მოხდებოდა თუ საკრებულო მხარს არ დაუჭერდა სხდომაზე წარმოდგენილ ცვლილებას სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე, რომელიც განხორციელებული იყო უკვე და ახლა მხოლოდ თანხების გასწორება ხდებოდა, აქვე აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო ამ პროგრამების გათვალისწინებით პროექტების განხორციელება, თუმცა ფორმატი სამართლებრივად არასწორად მიაჩნდა, რადგან პროგრამა უკვე განხორციელებული იყო და შესრულებული პროგრამის ცვლილება მერე ხდებოდა.

ბ) მონაწილეობით ბიუჯეტის ფორმირებისას ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართულობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მხოლოდ 8%-ის მონაწილეობა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაგეგმარებისას ძალიან მცირე იყო იმის სათქმელად, რომ ეს ბიუჯეტი ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესებს სრულად ასახავდა.

გ) როდის იქნება დასრულებული სოფელ ორცვაში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაშინ როდესაც 1 მარტს უნდა დასრულებულიყო მშენებლობა;

დ) მშენებელთა ჯგუფის მიერ სამი პროექტის : 26 მაისის ქუჩაზე ადმინისტრაციული შენობის მოწყობა, სოფელ დოლოგანში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია და სოფელ კუჭულაში წყლის გამანაწილებელი ავზის მოწყობის შესახებ დაინტერესდა, თუ რა ეტაპზე იყო ამჟამად;

ე) დასრულდა თუ არა სოფელ ჭინკაძეებში ამბულატორიის სარესტავრაციო სამუშაოები;

ვ) დაინტერესდა ძველი სახლების ახლით ჩანაცვლების პროგრამის თაობაზე კერძოდ: 2022 წელს სოფელ წონიარისში, ზუნდაგაში და ხარაულაში უნდა აშენებულიყო სახლები, რომელთა ტენდერი არ შედგა, ხოლო 2021 წელს ნამონასტრევში, ზენდიდში და დაბა ქედაში უნდა აშენებულიყო სახლები და აქაც ხელშეკრულების ვადები შეცვლილი იყო, რა პრობლემებია მშენებლობის პროცესთან დაკავშირებით და მოუწოდა საკრებულოს კარგი წარმოდგენილი პროექტების განსახორციელებლად მეტი თანხის გამოყოფა მომხდარიყო, მეტი რაოდენობის სახლის აშენება მოხდეს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ფენისათვის;

ზ) როდის იქნებოდა დასრულებული ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის რესტავრაციის პროცესი;

თ) როგორ მიმდინარეობდა დაბა ქედაში კერძოდ, ხაბაზების უბანში წყლის რეაბილიტაციის პროცესი;

ი) საფეხბურთო კლუბი ,,ბეთლემი"-ს სპორტული ინვენტარის შეძენისათვის გამოყოფილი 10 000 ლარით რა სპორტული ინვენტარის შეძენა ხდებოდა;

კ) როდის იგეგმებოდა სოფელ სირაბიძეების, პირველ მაისსა და ვაიოს წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელებიც დღემდე მოსაგვარებელია;

ლ) რამდენად შესაძლებელი იყო წარმოდგენილი ბიუჯეტით განხორციელებულიყო სოფელ დანდალოსა და გეგელიძეების მოსახლეობის თხოვნა მოედნის რეაბილიტაციის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა მინდია არძენაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს სოფელ დანდალოში, ფოსოტანას უბნის საცალფეხო ბილიკის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება როდის იქნებოდა შესაძლებელი, რადგან დიდი ხანია დაწყებულია პროექტის განხორციელება რომელიც დღემდე არ არის დასრულებული.

სამშენებლო სარეაბილიტაციო კითხვებთან დაკავშირებით, პასუხი გასცა სხდომაზე მერიიდან მოწვეულმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა გენად ანანიძემ, კერძოდ, სოფელ ორცვაში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეხლაც მიმდინარეობდა სამუშაო პროცესი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამჯერ მოხდა ხელშეკრულების გადავადება და 2022 წლის 28 აგვისტოს პროექტი უნდა დასრულდეს. მშენებელთა ჯგუფის მიერ განხორცილებულ სამ პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ხანგძლივი ზამთრის გამო მოხდა სახელშეკრულებო ვადების გადაწევა ჯარიმების ფონზე, თუმცა რეაბილიტაცია დღესაც მიმდინარეობდა. ხოლო ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმთან დაკავშირებით განმარტა, რომ ხანგძლივი ზამთრის შედეგად შეფერხდა სამშენებლო სამუშაოების განხორცილელება, რამაც ხელშეკრულების გადავადებაც გამოიწვია ექვსჯერ, ამ ეტაპზე მიმდინარეობს შენობის რესტავრაცია.

რაც შეეხება, აქუცა-ვაიოს წყლის სარეაბილიტაციო სამუშაობის განხორციელებას ჯერჯერობით შეჩერებულია, ხოლო სოფელ სირაბიძეებში წყლის დებეტის მოკვლევა 2021 წელს აპრილის თვეში ვერ მოხერხდა, თუმცა 2022 წელს აგვისტოს თვეში განმეორებით იგეგმება მისი შესწავლა.

სოფელ ჭინკაძეების ამბულატორიის სარესტავრაციო სამუშაოებსა და დაბა ქედაში, ხაბაზების უბანში სასმელი წლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ორივე პროექტი დასრულებული იყო ამჟამად, თუმცა კომისიას არ ქონდა ჩაბარებული.

საფეხბურთო კლუბ ,,ბეთლემი"-ს დირექტორმა სულხან ჯიჯავაძემ გამოყოფილ თანხასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული თანხით კლუბი შეიძენს მოთამაშეებისათვის ტანისამოსს, ბუცებს, შიპოვკებს და ბურთებს.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება: №10)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:45 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში ნონა თებიძე